№ 268
კვირა, 18 დეკემბერი 1894

1877—1894

# ივერია

№ 268
კვირა, 18 დეკემბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**„ივერია“**
გამოვა 1895 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

დამფუძნებელთ ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებისას სთხოვენ მობრძანდნენ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში კვირას, 18-ს ამ დეკემბერს, საღამოს შვიდს საათზე განსახილველად ზოგიერთ საგნებისა, რომელიც ნებულს საზოგადოებას შეეხება.

ქართული წარმოდგენა
კვირას, 18 დეკემბერს
არტისტიულ საზოგადოების დარბაზში
(სოლოლაკში, ფითოევის სახლში)
ქართული წარმოდგენების მმართველ „ამხანაგობის“ დასისაგან წარმოდგენილი იქნება კ. მარჯანოვის მეორე სადებიუტოდ ქ-ნი საფაროვისა, ავალოვისა და ბ-ნი აბაშიძის მონაწილეობით

I
**მეორედ გაყმაწვილება**
დრამა 4 მოქმედ. გადმოკ. რუსულიდგან თავ. დ. ერისთავის მიერ.

II
**არც იქით, არც აქეთ'**
ვოდევილი 1 მოქმედ. გადმოკეთ. ვალერიან გუნიას მიერ.

მონაწილეობენ: საფაროვისა, ავალოვისა ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, გამყრელიძისა, ტარიელოვისა; ბ-ნი აბაშიძე, გუნია, შათირიშვილი, კანდელაკი, გამყრელიძე, ადამიძე და სხვა.

ადგილების ფასი პარტერში სკამები 50 კაპ. მოყოლებული 2 მან. 50 კ. I ბალკონზე სკამები 50 კაპ. მოყოლებული ვიდრე 2 მანეთამდე.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორი ალექსეევ-მესხიევი

ადმინისტრატორი ვალერიან გუნია

## ტფილისი, 18 დეკემბერი

—

ქუთაისის ადგილობრივ მთავრობას განუზრახავს საგარაკო ბინა გაიჩინოს, როგორც თავისის, აგრეთვე სასამართლოს მოხელეთათვის.

ამ განზრახვას, როგორცა გვწერენ, იმდენად შეუსხამს ფრთები, რომ საჭირო საგარაკო შენობის ხარჯის გამოანგარიშებისათვის მიუციათ ხელი, რომელსაც გამოკვლევის შემდეგ უპირობენ, თურმე, დასამტკიცებლად წარდგენას უმაღლესის მთავრობის წინაშე.

ცხადია, და ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ქუთაისის ადმინისტრაციას, რომ ზაფხულობით გრილ ჰაერში სჯობია ცხოვრება და ზამთრობით თბილში. ეს, გარდა იმისა რომ სასარგებლოა ადამიანისათვის—სასიამოვნოც არის!

საგარაკოდ დანიშნული ადგილები ყოფილა: ტყიბულის სადგური, წიფის სადგური და ზეკარის ხეობა. ყველა ამ აღნიშნულ ალაგს დიაღ ჩინებული ჰავა აქვს და, რასაკვირველია, იქ ზაფხულის გატარება დიდად მარგებელი იქნება ქუთაისის ადმინისტრაციის და სამსჯავროს „ჩინოვნიკებისათვის“.

მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა გავიხსენოთ ის გარემოება, რომელიც მოჰყვება საადმინისტრაციო და სამსაჯულო დაწესებულებათა გადატანას იმ ადგილებში, რომელიც ამოურჩევია ადმინისტრაციას.

როგორც ვიცით, ქუთაისი შუაგული ალაგია მთელის დასავლეთ საქართველოსი, და ამიტომ იგი წინადაც, და ახლაც ცენტრი ყოფილა ყოველ გვარის საქმისა და მართველობისა ქვეყნისათვის.

ამას გარდა, ქუთაისს მრავალი ისეთი თვისება აქვს, რომელსაც, რასაკვირველია, მოკლებული იქნება ზემოხსენებული აგარაკები: ბინა, საქმის მცოდნე კაცები, ნაცნობები, კრედიტი და სხვა მრავალი ისეთი რამ, რომელიც ადმინისტრაციასა და სასამართლოსთან საქმის მქონე კაცს ყოველ წამში შესაძლებელია დასჭირდეს.

ჩვენ ზევითაც ვსთქვით, რომ თითოეულის სეზონისათვის შესაფერის ადგილის არჩევა და იქ დაბინავება სასარგებლოა და სასიამოვნოც; მაგრამ, ნუ დავივიწყებთ, რომ ქუთაისი არც ისე დასაწუნარი ადგილია, რომ ზაფხულში იქ ცხოვრება გასაჭირი იყოს. ოც-და-ათი ათას მცხოვრებისაგან ასი, ან ორასი კაცი თუ სტოვებს ზაფხულობით ქუთაისს და გადის აგარაკად. მაშ, რაღა ადმინისტრაციასა და სამსაჯულოს დასცხება მაშინ, როდესაც 29,800 სული რჩება ქალაქში და ადვილად იტანს ქუთაისის ზაფხულის ჰავას? — პირიქით, ჩვენ გვგონია, რომ ქუთაისი ჩინებული საგარაკო ადგილია, რადგანაც უხვი მცენარეობა არის ამ ქალაქში, მაღლობს ადგილზედ იმყოფება და თან დიდი და შფოთიანი, ჰაერის გამაგრილებელი რიონი ჩაუდის. ჩვენის აზრით, ქუთაისი ჩინებულ საგარაკო ადგილად გადაიქცეოდა, ჭირისუფალი რომ ჰყავდეს.

მაგრამ სხვა მიზეზებს გარდა, ქუთაისის ადმინისტრაციის განზრახვს ერთი ისეთი დაბრკოლება მოელის, რომელსაც უკანასკნელი ადგილი არ ექნება დათმობილი: ჩვენ ვამბობთ საჭირო ფულების შესახებ, რომელიც ამ საქმეს მოუნდება.

ქუთაისის ადმინისტრაციას, რასაკვირველია, ნება აქვს შეადგინოს დაწვრილებითი ანგარიში, თუ რა დაჯდება, რომ ქუთაისის „ჩინოვნიკებისთვის“ კარგი და ლამაზი ბინა გააჩინოს: ტყიბულსა, წიფასა, თუ ზეკარს და ყოველი ესე წარუდგინოს უმაღლესს მთავრობას.

მაგრამ დიდი ეჭვი გვაქვს, რომ ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქნას და მთავრობამ ამ საქმისთვის საჭირო ფულის გამოღება შესაძლებლადა სცნოს?

თუ ხაზინაში თავისუფალი ფული მოიპოვება, მაშინ შესაძლებელი იყო ათას ჯერ უფრო საჭირო საქმეების დასახელება მთავრობისათვის, ისეთის საქმეებისა, რომელთაც მართლა სული ეხუთებათ და რომელთ დახმარება, როგორც ხალხისა, ისე თვით მთავრობისათვის ნაყოფიერი და სანატრელი უნდა იყოს.

მეველე

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისის სახელმწიფო თეატრში 18 დეკემბრიდან წარმოდგე-

## ფელეტონი

—

### მძიმე დანაშაული

(მოთხრობა)

(დასასრული*)

საბრალო ბედნიერი იყო და სტკბებოდა კიდეც ამ ბედნიერებით. მას ძალიან ვუყვარდი—მეც ძალიან მიყვარდა. დროს სრულს მყუდროებაში და სიამოვნებაში ვატარებდით შვილის ყოლამდე. ერთის სიტყვითაც არ მოწამლულა ის ხანი, რომელიც ჩვენ სოფელში დავყავით; წარსული ერთხელაც არ გაგვიხსენებია და მასთან კავშირი სამუდამოდ გავსწყვიტეთ. მხოლოდ ორივენი ბალღის გაჩენას მოუთმენლად მოველოდდით და ერთთავად იმ ზრუნვაში ვიყავით, იმისი ცხოვრება რითი და როგორ მოგვეწყო; აღზრდის გეგმა წინადვე შევადგინეთ. გონებრივ მხარეს მე უნდა წავძღოლოდი და ზნეობრივი და ფიზიკური-კი თამარს უნდა შეესრულებინა. ის-კი რა ვიცოდით, რომ ჩვენი განზრახვა ჰაერში კოშკის აშენებას ემსგავსებოდა, რომ ამ ტკბილს ცხოვრებას სხვა, სიძულილით სავსე და ეჭვის შხამით შეზავებული, დღეები მოსდევდა. როცა გავიხსენებ ხოლმე, არჩილ, ჩემის მდგომარეობის მოულოდნელად შეცვლას, ისეთაც გვემულ-ტანჯული გული, მწვავე ლახვარით მეკოდება და არ ვიცი რა ვქნა?!

სარიდანი ღრმად ჩაფიქრდა, თანდათან იმისმა სახემ ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ცოცხალი აღარ არისო, სუნთქვაც-კი შესწყვიტა, ძარღვებმა, რომლების ფეთქა იმის გამხმარ სახეზე აშკარადა სჩანდა, მოძრაობა შეაჩერა, ერთის სიტყვით, შტერივით იჯდა და თვალები გარინდებულსავით ერთის წერტილისათვის მიეპყრო. შემეშინდა, სული ხომ არ დალია-მეთქი; ის იყო დალაპარაკებას ვაპირებდი, როცა ამ გაოგნებას გამოერკვა, სახე მწუხარების ღიმილმა დაუპრანჭა და ნაკვერჩხალსავით გაღებულს თვალებში ცრემლი მოადგა.

— ოჰ! ამოიოხრა საცოდავმა: თავს ტყუილად გაბრალებ, არჩილ! განა მე შესაბრალისი ვარ? არა... არა და არა!.. მაგრამ მალე გავათავო, ვგრძნობ, რომ თანდათან ვსუსტდები, ძალა მეხდება!.. სად გავჩერდი? ჰო... ბედნიერნი ვიყავით-მეთქი!.. მაგრამ ნათქვამია: „ერთი დრო არავის შერჩებაო“ და არც ჩვენ შეგვრჩა... მერე რამ შესცვალა ის ტკბილი დროთასვლა? სწორედ იმ სასიხარულო ამბავმა, რომელსაც მოუთმენლად მოველოდდით!.. სწორედ იმ ბალღის გაჩენამ, რომლის სათუთად აღზრდასა და მოვლას ვოცნებობდი!.. ბალღი დაიბადა და... მისი პირველი კნავილი ჩემთვის თავზარ-დამცემ მეხსავით გაისმა, მწვავე ლახვარსავით მეძგერა გულში, ჩამავლო მარწუხები და იქიდგან ძირიანად ამოჰგლიჯა იმ ბალღის სიყვარული!.. ბალღის პირველსავე დანახვაზე მთლად გამოვიცვალე, ისე გარდავიქმენ, რომ წინანდელი სარიდანისა ჩემში არა დარჩენილა-რა, წინანდელი გრძნობისა თუ წადილისა აღარა შემრჩენია-რა!.. ჩემს თავს მევე ველარ ვცნობდი? ვეძებდი და ვერ მივწდომილიყავ, რა იყო მიზეზი ასეთის ცვლილებისა... მხოლოდ მეშინოდა, ვკანკალებდი, როცა მელოგინის ოთახს მივუახლოვდებოდი ხოლმე... მინდოდა შესვლა, მაგრამ ის აზრი, რომ ბალღის კნავილი უნდა გამეგონა, ფეხს მიბორკავდა და გიჟსავით უკან გამოვრბოდი!..

ამ ყოფით თითქმის მთელი ერთი კვირა გავატარე. ბოლოს გარდავსწყვიტე ავადმყოფთან შესვლა, რადგანაც თურმე თამარმა ჩემი ნახვა არა ერთხელ მოისურვა.

თამარი ის იყო წამოჯდა, როცა მე შეველ, ბებიასაგან მიწოდებული ბალღი გულზე მიისვენა და კოცნის შემდეგ პირში ძუძუ ჩაუდო. ავადმყოფს გაციებ-გაცხელებულსავით მივუახლოვდი და ბალღს გაუბედავად შევავლე თვალი. ოჰ, ღმერთო ძლიერო! რა ვიგრძენ მაშინ იმ საცოდავ ქმნილების მიმართ?! გველი ხომ შეგხვედრია როდისმე? რა გიგრძვნია მაშინ? შიში რომ მოგგვარდება და დაგშხამავს, ამასთანავე საშინელი ზიზღი გაწა? სწორედ ამგვარივე შიშითა და ზიზღით გამეგმირა გული, როდესაც ის პაწია არსება დავინახე!... საკვირველია, რად უნდა შემშინებოდა იმისი? რა საშიში იყო თითის ტოლა უენო არსება, რომელსაც ჯერ არც თვალი ეტყობოდა, არც ცხვირი და მხოლოდ საბრალოდა ჰკნაოდა... მაგრამ რას იზამ? კაცის ბუნება განუზომელია! გრძნობების ცვალებადობა, ერთისაგან მეორის შეცვლა ანაზდეულად ხდება, ორს დღეში სრულად ისე გამოიცვლები, რომ ვერც-კი გაიგებ ამ ცვლილებას და მხოლოდ ბოლოს ეძებ ამის მიზეზს, როცა უკან დაბრუნება უკვე შეუძლებელია!..

როცა მელოგინემ დამინახა, გაიღიმა და სამდურავით მომმართა:

— არა გრცხვენიან, სარიდან, რატომ არა მნახეო! ძალიან გაჭირვებული მშობიერობა მქონდა—აბა შეხედე—რა კარგი ბალღი გვყავსო, თან სიყვარულით აკოცა და ჩემკენ გამოიშვირა, რომ ხელში ამეყვანა.

ადვილად წარმოიდგენ, რაც დამემართებოდა. ვერხვის ფოთოლსავით დავიწყე თრთოლა, ვიგრძენ, რომ გავფითრდი კიდეც და არ ვიცოდი რა მექნა... დარწმუნებული ვიყავ, ბალღი რომ ამეყვანა, ხელიდან გამვარდებოდა, ისე დავუძლურდი. არამც თუ მე მჭეროდა, არამედ თამარის ხელში რომ ვხედავდი, ასე მეგონა, იმ ბალღის მიკარება იმასაც სწამლავს-მეთქი. რომ ვერა მოვახერხერა და ვხედავდი კიდეც გაკვირვებულს თამარს, ჩემკენ ხელებ-გამოწვდილს, —საქმე მოვიმიზეზე:

— არა გენაცვა, ეხლა არა მცალიან-მეთქი, და ელვასავით ოთახიდგან გამოვარდი!...

თამარი მორჩა და ფეხზე დადგა. ავადმყოფობის დროს მე ორჯერ თუ სამჯერ ვიყავ იმის ოთახში, ისიც მხოლოდ მაშინ შევდიოდი, როდესაც ნამდვილად ვიცოდი, რომ ბალღი არ დამიხვდებოდა. ბალღის სიძულილი არამც თუ არ მიყუჩდებოდა, თანდათან უფრო და უფრო გამიძლიერდა. მარტო იმის შორიდგან დანახვაც კი მაღელვებდა და თავში სისხლი ამივარდებოდა ხოლმე. მარტოობის დროს ბევრჯელ დავფიქრებულვარ, არა ერთხელ ამიწონ-დამიწონია ჩემი გრძნობა და იმისი შედეგი—ჩემი ქცევა, ჩემს თავს ბევრ-

---

* იხ. «ივერია», № 267.

ნები სრულს რვა საათზედ დაიწყება ხოლმე და არა $7^1/_2$ საათზედ, როგორც აქამდისინ იყო.

*** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ქართულს დრამატიულს ამხანაგობას მეორე წარმოდგენა აქვს ტფილისის საარტისტო საზოგადოების დარბაზში. წარმოადგენენ „მეორედ გაყმაწვილებას“ და ვოდევილს „არც იქით, არც აქედ“.

*** ძმათა ბუდაღოვებმა, რომლებიც ბაქოს მკვიდრნი მცხოვრებნი არიან, თვალსაჩინო თანხა—50,000 მან. შესწირეს ამ ქალაქის სხვა და სხვა საქველ-მოქმედო საქმეს. ამ ფულით უნდა ააგონ: ქალების საავადმყოფო ქალაქის მიხეილის საავადმყოფოსთან, მშობიარეთა თავშესაფარი და უფასო საქალაქო სამკითხველო.

*** ტფილისის მაზრის უფროსი თავ. ჯანდიერი, გუბერნატორის მიერ, დაბა სურამს იქმნა თურმე გაგზავნილი იმ საჩივრების გამოსაძიებლად, რომლებიც გუბერნატორს წარუდგინეს სურამელებმა.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“ სიტყვით, ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორი, ჩვენი თანამემამულე ვასილ პეტრიაშვილი ამ წელში ასრულებს ვადას თავისს სამსახურისას და შემდეგ განზრახვა აქვს თავისს სამშობლო ქალაქს ტფილისში იცხოვროს.

*** დღეს, 18 დეკემბერს, ტფილისის რეალურ სასწავლებელში წლიური აქტია დანიშნული.

*** ამ დღეებში მის ყოვლად უსამღვდელოესობამ სომეხთა ეპისკოპოსმა ხორენ ნარბეიმ სიცოცხლის დამზღვევ საზოგადოება „როსსიაში“ დაიზღვია თავი ოცი-ათას მანეთად. მის ყოვლად უსამღვდელოესობის სიკვდილის შემდეგ საზოგადოება „როსსიამ“ 20,000 მან. უნდა მისცეს იმ საქველმოქმედო სომეხთა დაწესებულებას ანუ სასწავლებელს, რომელსაც სიკვდილის წინად უჩვენებს ეპისკოპოსი ხორენი.

*** მომავალ წლიდგან ტელეფონების აბონენტების გადასახდელ ფასს აპირობენ დაუკლონ ათ თუმნიდგან წელიწადში შვიდ თუმან ნახევრამდე. ამ ჟამად ტელეფონების აბონენტთა რიცხვი 221-ია და იმედი აქვთ, რომ, როცა ტელეფონების სარგებლობის ფასს დაუკლებენ წელიწადში ოცდა-ხუთ მანეთზე, აბონენტთა რიცხვი იმატებს. თუ რომ აბონენტთა რიცხვი სამასზე მეტი იქნება, მაშინ ტელეფონების სადგურზე დანიშნავენ ცალკე მოხელეთა და უფროსს. ამასთანავე ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ჰსწერს უმთავრესს მმართველობას, რომ თუ სამასზე მეტი აბონენტი ჩაეწერება ტელეფონების აბონენტთა რიცხვში, მაშინ საჭირო იქნება ტელეფონების ახალი ბოძების დადგმა, რადგანაც ეხლანდელი ბოძები არა ჰყოფნის ყოველ მავთულებს. და ეს გარემოება გამოიწვევს დიდ ხარჯსაო.

*** ამ ჟამად სინოდის კანტორიდგან საჭირო მოწმობების გამოტანა ძალიან გაძნელებულია, რადგანაც აქ მოსამსახურეთ დიდძალი საქმე აქვთ და ვერ ასწრობენ თავისს დროზედ დააკმაყოფილონ მთხოვნელები. თავისს დროზედ მოწმობების გამოუტანლობა-კი დიდად აფერხებს ხალხს, ნამეტნავად იმით, ვისაც შვილები სასწავლებელში ჰყავთ შესაყვანი. ამიტომ, გაზ. „ტფ. ლისტ“. სიტყვით, საქართველოს ექსარხოსს განუზრახავს კანტორაში მოსამსახურეთა რიცხვი გაამრავლოს.

*** ცხინვალი. ერთი სასაცილო ამბავი დაემართათ ამას წინად ცხინვალელებს. აქ ჩამოვიდა ვიღაც „არტემა“ და თან რამდენიმე ტომარა მოიტანა და იჯარადრად დაასახელა თავი. ჰირნახულის ფასებში რომ ვერ მოერიგდა, „ტყუილი“ დეპეშა გაჰგზავნა ბათუმს. „პურის ყიდვას ჯერ ვერ ვახერხებ, ფასები დიდიაო“. ცხინვალელებს მართლა დიდი სოვდაგარი ეგონათ და დაიწყეს იმასთან ქაღალდის თამაშობა. „არტემამ“ ერთ ღამეს ერთი გააკოტრა, მეორე ღამეს—მეორე. ერთი სამოც თუმნამდის ფული ჩაიჯიბა და... ცხინვალს თავი დაუკრა, სადაც გულ-დაწყვეტილი „მებანქოები“ თურმე კბილებს აკრაჭუნებენ.

*** კასპი. 16 დეკემბერს, დილის 4 საათზე, საქონლის მატარებლის ქვეშ ჩავარდა სოფელ ახალ-დაბის მცხოვრები დავით ზაალიშვილი, რომელსაც მატარებელმა მარჯვენა ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

*** სად. რკვიავი. (ჰიათურის რკინის გზა). 17 დეკემბერს, ღამის ორს საათზედ, რკინის გზაზე მომუშავე მიხა მაზმიშვილს დაეცა ვიღაც ბოროტ-მომქმედი და ხანჯლით აჩეხა. თუმცა ჯერ ცოცხალი არის, მაგრამ იმის გადარჩენის იმედი არა აქვთ.

## ნაწყვეტები

—

მოძმე-ქვეყნისა გამყიდველს
გულსა ლახვარიმც ჰსობია,
სატრფო და დედა ჰკრულავდეს,
იქმნას სიკვდილის მხმობია
ქვეყნისგანმც იყოს წყეული
თვის გვარ-ტომობის მგმობია,
თავსლაფ-დასხმულსა სიცოცხლეს
სიკვდილი ბევრად სჯობია.

დ. მაჩხანელი.

## კორესპონდენცია

—

**სვანეთი**. 22 ნოემბერი. ამ ზაფხულს მთავრობის მიერ გამოგზავნილი იყო ინჟენერი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გასინჯვა მდ. ენგურის ხეობისა დ. ზუგდიდიდამ სვანეთამდე. მთავრობას გადაუწყვეტია, რომ მდ. ენგურის ხეობაზე გაიყვანოს გზა და ამ ნაირად სვანეთი შეუერთოს ზუგდიდის მაზრას. როგორც გადმომცეს, ინჟენერის გამოკვლევით საურმე გზა დ. ზუგდიდიდგან სვანეთამდე, რომელიც შეიცავს ოთხმოცდა-სამს ვერსს, დაჯდება ექვსასი-ათასი მანეთი (600,000 მ.) ხოლო საცხენო გზა ბევრად ნაკლები. ამბობენ, მთავრობა კისრულობს საცხენო გზის გაყვანას. თუმცა საურმესა და საცხენო გზას შუა დიდი განსხვავება არის და სვანეთისათვის, რასაკვირველია, პირველი ემჯობინებოდა, მაგრამ ჩვენ ეს უკანასკნელიც დიდ ბედნიერებად მიგვაჩნია, რადგან მოკლებულნი ვართ ყოველს გვარს გზას.

მოგეხსენებათ, რომ შარშან და შარშან-წინ სვანეთში ნაკლები მოსავალი იყო. ამ გარემოებამ მიიქცია ყურადღება როგორც მთავრობისა, ისე ადგილობრივი გაზეთებისაც. მთავრობამ ხალხს მისცა სესხად ოც-დაერთი ათასი მანეთი, გაზეთები სიტყვით შეეწივნენ და ამ სიტყვამ გამოიწვია თანაგრძნობა და დახმარების სურვილი კერძო კაცთა შორის.

ამისი მაგალითი თვალ-წინა გვაქვს. თ. თათარყან დადეშკელიანმა სთხოვა თავისს ნაცნობებს, რომ იმათ სიმინდითა და ფულით დახმარება აღმოეჩინათ სვანებისათვის. თავად თათარყანის თხოვნამ გასჭრა; მოკლე დროში შეგროვდა ათას-სამას-სამოცდა-ცხრა ფუთი სიმინდი და 500 მანეთი ფული. სამეგრელოს თავადმა შემოსწირა სვანებს ექვს-ასი ფუთი, თ. დ. ე. დადიანმა ასი ფუთი, ხოლო დანარჩენი 669 ფუთი სიმინდი გამოიღეს ქუთაისის მაზრის მცხოვრებლებმა თავიანთ მაზრის უფროსის ბ-ნ სოკოლსკის ჩაგონებით, რომელიც სწორედ ღირსია დიდის მადლობისა. ეს 1369 ფ. სიმინდი ქუთაისის მაზრის მცხოვრებლებმა და ზოგიერთ ლეჩხუმისამ მუქთად მოიტანეს აჭარას კანცელარიაში, რომელიც სვანეთიდგან ორი დღის სავალზედ იმყოფება. აქედგან სვანეთამდე სიმინდის წაღება ადგილობრივის მცხოვრებლებისათვის ერთობ საძნელო იყო გზების უვარგისობისა გამო და ამისათვის თ. თათარყანმა გამოუცხადა სვანებს: ვისაც გსურთ და რამდენიც შეგიძლიათ, მოიტანეთ სიმინდი კალამდე (თავისუფალ სვანეთში სძევს) თქვენის ცხენებით, იმ პირობით-კი რომ ერთი მესამედი უთუოდ კალაში უნდა დატოვოთ იმ ღარიბ ოჯახების დასარიგებლად, რომელთაც არც საკუთარი ცხენი ჰყავთ და არც სხვა რაიმე გზით შეუძლიათ აჭარიდამ სიმინდის მოტანა. ხალხმა სიამოვნებით აასრულა ეს წინადადება და 20 ოქტომბრამდე სიმინდი სრულად წამოილო აჭარიდგან. ნოემბერში თ. თათარყანი თითონ ამობრძანდა კალას, დაჰყვა აქედამ ყველა საზოგადოებას და თავის თანადასწრებით დაურიგა ღარიბ ოჯახებს ხვედრი სიმინდი. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ღარიბ ოჯახებს თითონ ყრილობა ასახელებდა თითოეულს საზოგადოებაში. შემოწირული სიმინდი გახვდა 261 ოჯახს, ასე რომ თითოეულ კომლს ერგო საშუალო რიცხვით ექვსს ფუთზედ ცოტა ნაკლებ. ხალხი სამართლიანად ემადლიერებოდა ყველგან თ. თათარყანს ზემოხსენებულ დახმარებისათვის. როგორც ნათქვამია ზემოდ, სვანების სასარგებლოდ 14 ივლისამდე შეგროვილი იყო ხუთასი მანეთი. ფულების შეგროვება კიდევ არ შეწყვეტილა. იმედია, ფულის ჯამი აქამდე იმატებდა. ეს ფული დღეს ქუთაისის მაზრის უფროსის ბ. სოკოლსკის

---

ჯერ ჩავკითხებივარ—რადა მძულს ის ბალღი-მეთქი, მაგრამ ამაოდ, მიზეზი ვერაფერი ვპოვე. ვგრძნობდი, განა არა ვგრძნობდი, რომ ჩემი საქციელი სამარცხვინო იყო, ვიცოდი, რომ დიდი ცოდვაა ყოვლად უმოწყალო არსების სიძულვილი, იმ არსებისა, რომელსაც არც-კი ესმოდა, რომ ქვეყანაზე არსებობდა, რომელსაც მოსიყვარულე და პატიოსანი მზრუნველი ეჭირვებოდა, რომ მის აღზრდისათვის ჯეროვანი ნიადაგი შეემზადებინა, რათა ამ ნიადაგზე ეს, ჯერ კიდევ კაცის ნასახი, სრულს და ზნეობრივ კაცად აღმოცენებულიყო, და, ამის ნაცვლად, რას ვაგებდი იმ საცოდავს, რომლის ყოველ მხრივ მზრუნველობა, ვიდრე იგი დაიბადებოდა, ჩემს ბედნიერებად მიმაჩნდა? სიძულვილით გავიმსჭვალე და მოსისხლე მტრად მივიჩნიე!

ჩემი გრძნობა იმ გარემოებამ უფრო უარესად გაამწვავა, რომ თამარის მზრუნველობა და სიყვარული ორად გაიყო. წინად თამარის მთელი არსება მარტო მე მეკუთვნოდა, ეხლა-კი მონაწილე გამომიჩნდა და მეტოქედ ისევ ის უკანონო, უსინიდისო კაცის ნაყოფი დამხვდა.

რასაკვირველია, თამარისათვის ჩემი ქცევა საიდუმლო არ იყო, ყველაფერს მიჰხვდა, მაგრამ მდუმარებდა და არაფრით მაგრძნობინებდა თავისს ტანჯვა-ვარამს. მეც, ჩემის მხრით, ვსცდილობდი იმის წინ სიძულვილი არ გამომეჩინა, თავს ვიკავებდი, თუმცა-კი ამაოდ, აზვირთებული გრძნობა თავისს კალაპოტში ვერა თავსდებოდა და ხანდახან ნაპირსაც გადასცდებოდა ხოლმე. მაგალითად, ერთ ღამეს ჩემს ოთახში ვმუშაობდი. ორ ოთახს იქით თამარის და ბავშვის საწოლი იყო. იმ ღამეს ბალღი საშინლად გაავზნდა და დიდ ხნობამდის არ დაიძინა. თუმცა იმის კნავილი ყრუდ მესმოდა, მაგრამ ბრაზი მომდიოდა,—რატომ არ იძინებს-მეთქი, და ხანდახან იქამდის ავღელდებოდი ხოლმე, რომ მზად ვიყავ იმათს ოთახში შევარდნილიყავ და ის საცოდავი ქმნილება აკვნიდგან ამომეგლიჯა. ბოლოს მაინც ველარ მოვითმინე, გაფითრებული შევარდი თამარის ოთახში; საცოდავი ქალი აკვანს ჩასჯდომოდა და შვილს ძუძუს აძლევდა, ის-კი უარობდა.

— რით ვერ გააჩუმე, ეგ... წამოვიძახე ყრუ ხმით და იმ წამსვე გავჩერდი, ველარ გავბედე სიტყვის დათავება, რადგანაც იმ დროს თამარის შიშით სავსე თვალები დავინახე. ამასთანავე საცოდავი ქალი, მთლად აკანკალებული, აკვანს ზედ გადაეფაფრა, როგორც კრუხი გადაეფაფრება ხოლმე წიწილებს, ქორის მიახლოვების დროს.

— ხომ არ შეგაწუხა, მკითხა ჩუმის ხმით თამარმა: მაშ აკვანს იქით ოთახში გავიტანო!.. დაუმატა და ამასთანავე იმისმა თვალებმა მორჩილებით დამიწყო ყურება.

შემრცხვა, ისე შემრცხვა, რომ ნერწყვი გამიშრა და მხოლოდ ეს-ღა წავიდუდუნე—„არა, მე სულაც არ მაწუხებს“-მეთქი და სწრაფად ჩემს ოთახში დავბრუნდი.

თვეები გადიოდა და დროს თან მიჰქონდა ჩემი და თამარის მკვიდრი დამოკიდებულება. ჩვენ შორის კედელი აშენდა და ეს კედელი იმისი შვილი იყო. მე მძულდა ის ბალღი, თამარს-კი უყვარდა, მე მტერი ვიყავ იმისი, თამარი-კი იმითი სცოცხლობდა, სულს იმით იდგამდა. დღით-დღე თამარმა ყურება შიშით დამიწყო. ყოველს ჩემს მიახლოვებაზედ, როცა-კი ხელში ბალღი ეჭირა, ვერხვის ფოთოლსავით თრთოდა ხოლმე.

მართალია, ჩვენ შორის იმის შვილის შესახებ არავითარი ლაპარაკი არ მომხდარა და მეც პირადად ჩემი სიძულვილი არას დროს არ გამომითქომს, მაგრამ ჩემი ქცევა, ჩემი სახის მოძრაობა ბალღის დანახვაზედ მჭერმეტყველად ჰღაღადებდა, რომ მტრულის თვალით ვუცქეროდი იმ პაწია არსებას.

თამარი ჩემთვის წინანდელი თამარი აღარ იყო და მეც იმისთვის წინანდელი სარიდანი აღარ ვიყავ. ორივე ვიტანჯებოდით, ასეთი მდგომარეობა ორივეს ერთ ნაირად გვაწამებდა, მაგრამ თავი ვერაფრით გავინთავისუფლეთ. დედა-შვილური გრძნობა თამარის გულში მეტად იყო გამჯდარი, ამ გრძნობისთვის ვერ ეღალატნა და მეც გულის-თქმა გონებისათვის ვერ დამემორჩილებინა. მძაგდა ის ბავშვი, ისე მძაგდა, რომ ეს სიძულვილი ვერაფერს შეედრება!.. ვცდილობდი, განა არა ვცდილობდი, რომ როგორმე გამეყუჩებინა ეს დაწყევლილი უკეთური ვნებათა ღელვა, მომერიგებინა გონებასთან, მაგრამ ჩემი მეცადინეობა უნაყოფოდ დარჩა. გონებით მთლად დავუძლურდი, ჰკუის გამჭრიახობა სრულიად დამიჩლუნგდა... სადა მქონდა ადრინდელი ზნეობრივი ძალ-ღონე, რომლესაც ჩემს თავს თამარის შერთვის შესახებ ვებრძოდი? რა წამსაც ჩემს საქციელს ჩავუფიქრდებოდი, კრიტიკის თვალს გადავავლებდი, მაშინვე გული ამემღვრეოდა ხოლმე და, იმ დროს ხელში რომ მყოლოდა ის ჩემი უნებური მტარვალი, მზად ვიყავი გამესრისა, ჩემისავე ხელით დამეჩრჩო. მე და თამარ თანდათან ერთმანეთს თითქმის განვშორდით და ეს ისე თავისთავად მოხდა, რომ თითოეული ჩვენგანი არც-კი ცდილა ამისათვის. სადილზედ თუ შევხვდებოდით ხოლმე და ისიც ჩუმად ვიყავით, ხმას არ ვიღებდით. ორივენი ვგრძნობდით, თითოეულის გული რა გვარის ვნებათა-ღელვით იყო ადუღებული, რა ნაღველი უწყლულებდა და ამის შესახებ ლაპარაკს-კი ვერა ვბედავდით.

ერთხელ გავბედე და ვთხოვე, რომ ბალღი სხვაგან საღმე გაებარებინა, მაგრამ თამარმა ძალიან შორს დაიჭირა, ტირილი დაიწყო და მითხრა:

— შვილს-კი ვერავის მივაბარებ და თუ განშორება იქნება—ისევ ისა სჯობია, ჩვენ განვშორდეთ ერთმანეთსაო. უერთმანეთოდ ჩვენ არა გვიშავს-რა და ეს-კი ბალღია, აღზრდა ეჭირვება და თავისს დღეში არ ვიკისრებ დედის მზრუნველობა მოვაკლოო. მე ვგრძნობ, შენ ჩემი შვილი გძულს, და არც გასამტყუნარი ხარ; ეგ წინათვე ვიცოდი, გითხარ კიდეც, მაგრამ შენ დამაჯერე, რომ მამაშვილურის გულით მოვეკიდებიო, ახლა-კი ვხედავ, რომ გულის თქმა ვერ დაგიძლევია და არც გემდური... ისეც დიდი სიკეთე უყავ იმ საცოდავს, უკანონოს—სახელი მიეციო“...

„ადვილად გასაგებია, არჩილ, ეს სიტყვები რა საწამლავადაც მოჰხვდა ჩემს გულს...

ამის შემდეგ თავი დავანებე და ხმა აღარ გამიცია. მხოლოდ ღმერთს ვევედრებოდი, რომ ამ სასჯელისაგან განვენთავისუფლებინე. ოჯახში ყოფნა ჯოჯოხეთად გარდამექცა. წარმოვიდგენდი თუ არა, რომ ჩემთან ერთ ჭერ-ქვეშ ის დაწყევლილი ბალღიც იყო, რომელმაც მე და თამარ

ხელშია. ცხადია, იგი თავისს დროზედ გარდაეცემა თ. დადეშკელიანს სვანების დასარიგებლად.

თუ რამდენად სწამთ სვანებს ნათესაური დამოკიდებულება ძიძასა და მის გაზრდილს შორის, ამას ნათლად გვიხატავს შემდეგი მაგალითი. მკითხველმა იცის, რომ 1857 წელს თ. კონსტანტინე დადეშკელიანმა მოჰკლა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თ. გაგარინი. მკვლელი იქვე დახვრიტეს, ხოლო მისი ძმები რუსეთში გადაასახლეს სამუდამოდ. მას აქეთ მიმდინარეობს აგერ 37 წელიწადი და გადასახლებულ თთ. დადეშკელიანებს, როგორც სვანები ამბობენ ხოლმე, სვანეთის ღრუბელი არ უნახავთ. წრეულს ორი ძმა გადასახლებულ დადეშკელიანთაგანი მიიცვალა რუსეთში. ეს ამბავი რომ გაიგეს იმათ ძიძიანთ ოჯახებმა, მაშინვე თადარიგს შეუდგნენ, რომ სვანურის წესით, როგორც მახლობელ ნათესავებს საკურთხი, ესრეთ წოდებული „კონჩხარი“ გადუხადონ. როგორც ერთის ძიძამ, ისე მეორისამ დაჰკლეს რამდენიმე ხარი და სხვა ოთხ-ფეხი საქონელი, დაამზადეს ბლომად პური და არაყი და მთელი საზოგადოება დედიან ბუდიანად და მრავალი სხვა სტუმარი მოიწვიეს სადილად, რომელთაც თავზედ საყრელად ჰქონდათ ყოველი გვარი ხორაგი.

თ.

## რუსეთის ცხოვრება

—

კიევის წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტში სტუდენტთა მეთვალყურეს გამოუკრავს შემდეგი განცხადება, რომელიც, ეჭვი არ არის, იქაურს სტუდენტობას ძალიან ჩააფიქრებს. განცხადება შეეხება იმ სტუდენტებს, რომლებსაც ამ მიმდინარე წლის პირველს ნახევარში ლექციების მოსმენის ფული არ შეუტანიათ; ფული უთუოდ დროზედ უნდა იყოს შემოტანილიო, განმარტებს, განცხადება, თორემ წინააღმდეგს შემთხვევაში ესნახევარი წელიწადი არ ჩაგეთვლებათო. განცხადებაში არა ჩვეულებრივი არა არის რა, რადგანაც სხვა უნივერსიტეტებიც ამასვე ავალებენ ხოლმე სტუდენტებს, დააჩქარონ პირველის ნახევარის წლის სწავლის ფულის შეტანა. ღარიბ სტუდენტებს ამ შემთხვევაში მუდამ საზოგადოება ეხმარება, რომელიც კონცერტებს, წარმოდგენებს და ბალებს ჰმართავს ხოლმე ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ. აი, რასა სწერს გაზ. „Ж. и. И.“ ამ საქმის შესახებ. იმ მწუხარების გამო, რომელიც წრეულს რუსეთს ეწვია, საზოგადოება უთუოდ ველარ გაუწევს დახმარებასა ღარიბს სტუდენტებს, რადგანაც ბალები და საღამოები აკრძალულიაო. თუ მართლა ეს ასეა, არა მარტო კიევის არამედ ყველა უნივერსიტეტების ღარიბს სტუდენტობას გაუძნელდება დროზედ ფულის შეტანა. ამისთვის, თუ რომ ოდესმე უჭირს სტუდენტობას შეძლებულ ხალხისაგან დახმარება, ეს უთუოდ ამ წელს არისო.

—

უმაღლესის მანიფესტის საჯაროდ განცხადებამ ერთხელ კიდევ აღმოაჩინა, რომ რუსეთში წერა-კითხვა ძალიან ნაკლებად არის გავრცელებული. აი, რას გვაცნობებს „Пріаз. Край“: ამ ჟამად ხალხში თითქმის ყველა იმ აზრისაა, რომ გამოცხადებული უმაღლეს წყალობათა მანიფესტი გვანთავისუფლებს არა მარტო სხვა-და-სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა ვალად დარჩენილ გარდასახადისაგან, არამედ კერძო ვალებისაგანაცაო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჟურნალ „Вѣст. Евр.“-ში საუცხოვო წერილია დაბეჭდილი ამ სათაურით „მშვიდობიანობის გამარჯვება“. რაღა თქმა უნდა, რომ რაკი მშვიდობიანობა არის ნახსენები, აწ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე III-ის კურთხეული როლიც არის აღნიშნული ამ „მშვიდობიანობის გამარჯვებაში“. აღნიშნულია სხვათა შორის ისიც, თუ რუსეთში რა რიგად უწყობდნენ ხელს სხვა-და-სხვანი ამ მშვიდობიანის პოლიტიკის დამყარებას.

„სიმართლისა და მშვიდობიანობის აზრებს საკმაო ბლომად დაუხვდა მტერი შიდა-რუსეთის ცრუ პატრიოტების დასში, იმ დასში, რომელიც სულ იმასა სცდილობდა, სხვა-და-სხვა წოდებათა და ერთვნებათა შორის როგორმე შური ჩამოეგდო, არღვევდა კანონის პატივისცემას, ჰქადაგებდა თვითნებობასა და ძალდატანებას, თხოულობდა რამდენისამე კაცისა და წრის ინტერესების გულისთვის გმობილიყო უმრავლესობის ინტერესი, სცდილობდა გლეხებს ეხლანდელი გონებითი გაუვითარებლობა სამუდამოდ შერჩენოდათ, რუსეთის განათლებულ წრეში უთანხმოება და არეულობა შეჰქონდათ. გარეშე პოლიტიკაში ამ „აშინოვებმა“ დიდი სირცხვილი შეჭამეს; ხოლო საშინაო პოლიტიკაში ჯერ კიდევ იარაღი ხელში უჭირავთ: აქ კვლავ იმას სცდილობენ, რომ ხალხის სხვა-და-სხვა ნაწილებს შორის მტრობა დასთესონ, კვლავ აფარებენ ხელს ყოველ გვარ უსამართლობას, ტაცებასა და უმსგავსობას და ყველა ამას „პატრიოტობის“ სახელით სჩადიან. სიმართლე განდევნეს და შესუთეს ამ ცრუ მამულიშვილებმა; იმათის აზრით სიცრუე და სიბნელეა შეურყეველი ბურჯი საზოგადოებრივის წეს-წყობილებისა. რომ უფრო კარგად დაემალათ და უარ-ეყოთ ჩვენი უმთავრესი ნაკლულევანება-მოთხოვნილებანი, ისინი საზოგადოების გონებას განგებ სხვა საქმეებითართობდნენ, სწორედ ამისათვის დაიწყეს ბოროტის განზრახვით დევნა პოლონელებისა, ფინლანდიელებისა, გერმანელებისა და რუსეთში მცხოვრებ სხვა ერებისა; ამ უაზრო და ბოროტ დევნას ისინი პატრიოტობას უწოდებდნენ, ისეთს პატრიოტობას, რომელიც ვითომ და შეეფერებოდა დიდს საქრისტიანო ერს. სწორედ რომ ჩვენის ქვეყნის კეთილის მომავლის იმედი არ უნდა ჰქონდეს იმას, ვისაც ჰგონია, რომ ამ საბნელეთში მუდამ რაინდების საქციელს ბოლო არ მოეღება; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალგაზდა მეფის ტახტზედ აბრძანებით ჩვენს საშინაო პოლიტიკაშიაც გიმარჯვებს აზრი სიმართლისა და მშვიდობიანობისა. ეს იმედი მით უფრო უნდა ვიქონიოთ, რომ თვით ხელმწიფემ ბრძანა, ჩემს მოღვაწეობას საძირკვლად სიმართლე და მშვიდობიანობა ექმნებაო.

ბოლოს წერილში მოყვანილია ის იმედები, რომლითაც, როგორც ჟურნალი ამბობს, სავსეა ყოველის ნამდვილ მამულიშვილის გული, და რომელთა გამართლება დიად სხივს მოჰფენს ახალს მეფობას და ამით რუსეთის ისტორიაში ერთი საუცხოვო ფურცელი ჩაეკერება.

**

ექიმის ბელოგოლოვის წერილმა სალტიკოვის ავადმყოფობის შესახებ, შემდეგი შენიშვნა გამოიწვია გაზეთ „Врачъ“-ის მხრივ.

ბ-ნის ბელოგოლოვის ფრიად საყურადღებო წერილში ერთი ადგილი უნდა აღვნიშნოთ. „ფილენჯის ქარები, რომელიც სალტიკოვს ეტყობოდაო, ამბობს ავტორი, გვეგონა, რომ ტვინის გაფუჭების მიზეზი უნდა ყოფილიყო. ამ აზრს განსვენებულის წარსულს ცხოვრებაზედ ვამყარებდით, მაგრამ არ გამართლდა—როდესაც განსვენებული გასჭრეს, ტვინი მთელი და შეურყეველი აღმოაჩნდათ. „ჩვენ გვგონია, რომ „Врачъ“-ს ნება არა აქვს ასეთი დაწვრილებითი ცნობები გვაცნობოს ხოლმე ავადმყოფების შესახებ, თუნდა იმათი განზრახვა გამართლდეს კიდეც. ამ შენიშვნას იმატომ გამძლევთ, რომ ეს ნაკლი ყველასაგან პატივცემულის ბოტკინის ამხანაგის წერილში შევნიშნეთ. სხვათა შორის ამ წერილშივე არის ნახვენები, თუ რა ცუდი გავლენა ჰქონია განსვენებულ სალტიკოვზედ ცენზორთან შეტაკებას.

დასასრულ „Врачъ“-ი ამბობს, რომ ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები მაინც წაიკითხვენ იმის გამოკვლევას, თუ რა უბედური გავლენა ჰქონია ცენზურას საზოგადოდ განსვენებულის მწერლის ცხოვრებასა და კერძოდ თვით რედაქტორზედ.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** პარლამენტის ახალმა პრეზიდენტმა სიტყვა წარმოსთქვა, როდესაც პირველად ავიდა საპრეზიდენტო ალაგას. სხვათა შორის ბრისსონმა ეს სთქვა:

„ბატონებო და საყვარელნო ამხანაგნო, ის უდიდესი პატივისცემა, რომელიც თქვენ მომანიჭეთ, დიდს მადლობას აღძრავს ჩემს გულში. ამ რამდენისამე დღის წინად თქვენ იმ გვარად გამომიცხადეთ თანაგრძნობა, რომ ამისი დავიწყება შეუძლებელია. მე სრულის სიხარულით მივეცემოდი იმ გრძნობას, რომელიც თქვენმა თავაზიანობამ აღძრა ჩემს გულში, ის გარემოება რომ არ მაგონდებოდეს, რომ ჩემის არჩევის მიზეზი საზოგადოების გლოვა არის“. აქ ორატორმა ტკბილის სიტყვებით მოიხსენა ამ დღეებში გარდაცვლილი ბიურდო. საზოგადოდ ბრისსონის სიტყვებმა კარგად იმოქმედა თურმე პარლამენტზედ.

—

საფრანგეთის საგენერალო-შტაბის ოფიცერმა დრეიფუსმა ამ რამდენისამე ხნის წინად სამინისტროდგან სახელმწიფო საიდუმლო ქაღალდები მოიპარა და გერმანიის ელჩს მიჰყიდა...

---

დაგვაშორა მეთქი, როგორც გიჟი ისე გამოვრბოდი ხოლმე გარედ და უგზო-უკვლოდ დავძრწოდი...

არ ვიცი რითი დაგვირგვინდებოდა ჩვენი ასეთი ყოფა, რომ თვით გარემოება არ მოგვშველებოდა და ერთი-ასად არ გაეუკიდურესებინა ჩემი ცხოვრება.

ტანში მაჟრჟოლებს, ცივი ოფლი მომდის, როცა იმ საშინელს წამს გავიხსენებ ხოლმე... ყური დამიგდე... მივაღწიე იმ საზიზღარ დანაშაულის ამბავს, რომელიც მე მოვიმოქმედე... იქნება შენა გგონია, ჩემი დანაშაული მარტო ის იყო, რომ ბალღი მძულდა და ჩემს ფიცს ვუღალატე?!. არა... უფრო უარესს გაიგებ.

მართლა, რომ საშინელი უნდა ყოფილიყო ის ამბავი, რადგანაც სარიდანი მთლად ათრთოლდა, აქეთ-იქით კანკალით დაიწყო ყურება, თითქოს ეშინოდა, მტარვალის ბალღი ამ ოთახში ხომ არ შემოსულა და ყურს არ გვიგდებსო“. ამ მდგომარეობას ჩვეულებრივი ხველა მოჰყვა და მერე სისხლი ამოედინა.

— ჰო... წეღან გითხარ, რომ ღმერთს ვეხვეწებოდი —როგორმე მოეშორებინა-მეთქი ჩემი სულთამხუთავი, დაიწყო კვლავ სარიდანმა, როცა ხველა შეუდგა,—მაგრამ წარმოიდგინე,—ამ ფიქრის დროს ერთხელაც არის ბალღის მოკვლა აზრადაც არ მომსვლია. არ ვიცი სასჯელისა მეშინოდა, თუ სხვა რამ მაბრკოლებდა... მაგრამ ერთმა უნებურმა შემთხვევამ-კი საზიზღარ მკვლელად გამხადა... მერე ვისი? აკვნის ბალღისა!.. აი ეს თავზარ-დამცემი ამბავი როგორ მოხდა:

ერთ საღამოს სამსახურიდგან შინ მოვდიოდი, დაფიქრებული ვიყავ და უნებურად ბავშვის საწოლ-ოთახში შეველ. შესვლისათანავე რაღაც ნაირი ძლიერი ხვნეშა და გახშირებული სუნთქვა შემომესმა და როცა იმ მხრისაკენ გავიხედე, საიდგანაც ეს ხმა მოისმოდა, საშინელი სურათი წარმომიდგა: აკვანში მწოლარე ბალღს სახე ჭარხალსავით გაწითლებოდა, თვალების კაკლები გადმოჰბრუნებოდა და სულს დიდის გაჭირვებით ითქვამდა. ამასთანავე პირში საწოვი შევნიშნე, რომელიც ყანყრატოში ღრმად გადავარდნოდა და საცოდავს აღრჩობდა. იქვე აკვანთან იატაკზედ პატარა გოგოს ეძინა. პირველი ჩემი მოძრაობა ის იყო, რომ აკვნისაკენ ფეხი გადავსდგი ბალღის საშველად... მაგრამ...უეცრად თავში ერთმა აზრმა გამიელვა და იმ აზრის ზედ-მოქმედებით უკან გამოვბრუნდი, გავაღე კარი და ქალაქისკენ გავსწიე. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადავსდგი, ერთბაშად სინიდისმა ქენჯნა დამიწყო და ელდა-ნაკრავსავით სახლში დავბრუნდი, რომ ბალღი განსაცდელისაგან დამეხსნა, მაგრამ უკვე გვიან-ღა იყო... ბავშვი დამრჩვალიყო და... უბედურებისაგან მეხ-დაცემული თამარი-კი გულ-შემოყრილი ეგდო.

სარიდანმა ლაპარაკი შესწყვიტა და დაფიქრდა. სახე უფრო-და-უფრო მოეღუშა, შუბლის ნერვები სისხლით საშინლად დაეზიდა და მოძრაობას უმატეს, მათში სისხლის ჩქეფა აშკარად სჩანდა. თვალები ნაკვერჩხალივით გაუღვივდა, ლოყები სიწითლით წამოეკვერა და მთელი მისი არსება საშინელმა კანკალმა აიტანა. სჩანდა, სარიდანი გონებაში ბავშვის თავზარ დამცემ მდგომარეობას იხატავდა და ამასთან ერთად თავისს საქციელსაც ითვალისწინებდა.

ჩემზედ ხომ ისე იმოქმედა ამ ამბავის შინაარსმა, რომ გავშეშდი, ვერც-კი ვგრძნობდი სად ვიყავი. ერთის მხრივ სანუგეშებელ სიტყვას ვეძებდი, მეორეს მხრით-კი ხმის გაცემასიც ვერა ვბედავდი. სარიდანისათვის სწორედ ვერც-კი შემეხედნა, ისე მეშინოდა იმისი. არ ვიცი, რას მიეწერება ეს სულიერი მდგომარეობა, შიშსა თუ ზიზღს? კარგა ხანი გაგრძელდა ასეთი ყოფა და, აღარ მახსოვს, სარიდანი გონს როგორ მოვიდა. როცა შევხედე სახე მეტისმეტად გაჰყვითლებოდა და ცხვირი უარესად წამწვეტებოდა,

— არჩილ! შემომესმა სარიდანის ყრუ ხმა: არჩილ!—მივიხედე—ხომ გაიგე ჩემი თავ-გარდასავალი... მითხარ, გებრალები თუ გეზიზღები? მე ხმას არ ვიღებდი... სთქვი, ყმაწვილო, წარმოსთქვა კვლავ სარიდანმა და ხმა ჩაუწყდა, ქვითინი მოაყოლა.

— არა, არა... საჭირო არ არის, ნურაფერს იტყვი, მესმის, კარგად მესმის, რომ გეძნელება იმისი თქმა, რასაც შენი გული ჰგრძნობს! ღირსი ვარ, ღირსი, ყველაფრის ღირსი ვარ! მაგრამ ცოტა კიდევ მომისმინე, სათხოვარი მაქვს და გეხვეწები უარს ნუ მეტყვი...

ჰო, მართლა ჯერ მგონი არ დაგისრულებია. ძალ-დატანებით წამოვილუღლუღე. თამარს რაღა მოუვიდა?

— საწყალი თამარ?—წამოიძახა გულის ტკივილით სარიდანმა იმ კილოთი, თითქოს მე არ მიგებდა პასუხს. გაგიჟდა უბედური! ვერ გაუძლო საშინელს უბედურებას, მით უფრო, რომ, როგორც დედა თავისს თავს დამნაშავედა სთვლიდა, რატომ კარგად არ მოვუარეო, და სულ იმას გაიძახოდა: „მე მოვკალ ჩემი შვილი, დამნაშავე ვარო“, თან-და-თან ისე მიეჩვია ამ ფიქრს, რომ ყველას, უცნობს თუ ნაცნობს სულ ამას ეუბნებოდა; რამდენჯერმე თავის მოკვლაც განიზრახა მაგრამ თვალი შევასწარით და დავიხსენით. რომ ვერა მოვახერხე-რა, საავადმყოფოში გადავაყვანინე და სული იქ დალია.

— მერე, შენ სად-ღა იყავ, რომ არა სჩანდი?

— სად-ღა ვიყავ? ვინ იცის? მთელი ქვეყნები დავიარე, მინდოდა იმ ადგილებს გავცლოდი, რომელნიც ჩემს დანაშაულს მაგონებდნენ მაგრამ ამაოდ. ჩემს თავს ხომ ველარ დავემალებოდი! თამარს დიდი ბედნიერება მოუვიდა, რომ სიკვდილი ეწვია, ტანჯვას მაინც მორჩა, მე-კი ამის ღირსი ვერ გავხდი და აუტანელი ტანჯვა-წვალება მხვდა წილად. წინანდელი მდგომარეობა, როდესაც ბალღი ცოცხალი იყო, როგორ შეედრება შემდეგს და ეხლანდელს. ამის გამო უცხო ქვეყნებს მივაშურე, მით უფრო, რომ ჩემს საზოგადოებაში ველარ დავტრიალდებოდი, რადგანაც მარტო ჩემი სუნთქვაც-კი შეურაცხჰყოფდა იმ საზოგადოებას. ამასთანავე იმედი მქონდა, რომ გავერთობი მეთქი, მაგრამ შენი მტერი. ჩემი დანაშაული მუდამ თვალწინ მედგა და ბალღის ლანდი ყოველთვის უკან მსდევნიდა, მოსვენებას არ მაძლევდა. აი ეხლაც თვალ წინ მიდგა იმისი სისხლ-მორეული თვალები, ჩემკენ ვედრებით მოქცეული „მიშველეო“, მეხვეწება ის პაწია არსება, ხელებს ჩემკენ ჰშლის, მე-კი უკან-უკან მივდივარ, ვაღებ კარებს და ვტოვებ საცოდავს. ოჰ, საზიზღარო ქმნილებავ! დაიძახა სარიდანმა და ქვითინი მოაყოლა, მაგრამ იგი მხოლოდ გულს ატოკებდა, ცრემლი-კი, ის ადამიანის მწუხარების შემამსუბუქებელი ნამი, არსად იყო. ეჰ, არჩილ რაღა თავი შეგაწყინო საზიზღარი ვარ, საზიზღარი, მაგრამ შესაბრალისიც და გთხოვ უკანასკნელი სურვილი შემისრულე, რომ იქნება მოსვენებული ჩავიდე სამარეში. საკმაო შეძლება მაქვს, შორეული მემკვიდ-

და; ეს ქაღალდები ელჩს მოჰპარეს და სამინისტროსვე დაუბრუნეს. მაშინვე გამოირკვა დრეიფუსის საქციელი. საქმე სამხედრო სასამართლოს გარდაეცა და 11 დეკემბერს დრეიფუსს, როგორც დამნაშავეს, სიკვდილამდე ციხეში ყოფნა გადაუწყვიტეს. გაზ. „Нов. Вр.“ ასე ატყობინებენ ამ ამბავს დეპეშით: „დრეიფუსს სიკვდილამდე ციხეში ყოფნა ერთ-ხმად გარდაუწყვიტეს მსაჯულებმა. მწერლობა დიდის სიამოვნებით მიეგება ამ გარდაწყვეტილებას; ყველა იმასა ჰგლოვობს, რომ ჯარში მოღალატე აღმოჩნდა. ეხლა ექვს გარეშეა ის გარემოება, რომ დამნაშავემ საძაგელი საქმე ჩაიდინა. ხალხი ხმა-მაღლა მუქარასა და სიძულილს უთვლის მოღალატეს; ბევრი ჰნანობს, რომ კანონი სიკვდილით არა სჯის ასეთს დამნაშავეებს. კოპპე მხურვალე წერილში გაიძახის: „ერთი დაგვანახოს უსინიდისო მოღალატემ პირი-სახე, რომ ყველამ მივაფურთხოთ“. განაჩენიდგანა სჩანს, რომ დრეიფუსს მარტო ერთის უცხო სახელმწიფოსთვის არ მიუყიდნია სახელმწიფოს საიდუმლო. როდესაც დამნაშავე დარბაზში შეიყვანეს, ხალხში «გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს!» ძახილი მოისმა. ამის გამო ხალხი გამოიყვანეს დარბაზიდგან. ბულვარზედ შუაღამემდი ელოდნენ სასამართლოს განაჩენს. ყველა სამხედრო მინისტრს აქებს, რადგან იმან მოისურვა მაგ საქმის დაბოლოვება, თუმცა ბევრი წინააღუდგა. გაზ. „Soleil“-ში სწერია, „ის-ღა დაგვრჩენია სანუგეშოდ, დრეიფუსი იმ ერს ეკუთვნის, რომელსაც არსად არა აქვს სამშობლო, და რომ იგი ფრანგი არ არისო“.

---

რეების გარდა, სხვა არავინ გამაჩნია. ამისათვის გთხოვ, ერთი უკანონოდ შობილი ბავშვი მომიძებნო სადმე. მინდა ჩემი შეძლება და სახელი იმას გადავცე. თუმცა-კი შებღალულს სახელს გადავცემ, მაგრამ დეე, იმან შეჰმოსოს იგი დაკარგულის პატიოსნებით. შენი ვალდებულება-კი ის იქნება, რომ ზრუნვა და აღზრდა იკისრო იმ ბალღისა. აი ჩემი სათხოვარი და, თუ ამას აასრულებ, იცოდე დიდს მადლს იზამ, როგორც იმ უკანონო ბალღისათვის, აგრეთვე ჩემთვის, რადგანაც იქნება ცოტა არ იყოს მოვისვენო. მე სიტყვა მივეცი აგისრულებ-მეთქი.

ორის დღის შემდეგ—საქმე გაკეთებული იყო, ბალღი ადვილად ვიშოვნე, ნოტარიუსმა ქაღალდი შეადგინა, რომლის ძალით სარიდანის სახელი და მამულ-დედული იმ ბალღს რჩებოდა. როდესაც ყველაფერი მზად იყო და ხელ-მოწერილი, ის უკანონო ბალღი—ეხლა-კი სარიდანის მემკვიდრე—ავადმყოფს მივუყვანე დასალოცად, მაგრამ სარიდანი ბალღის დანახვაზედ შეკრთა, თვალები საშინლად დააბრიალა, ხელები ბალღისაკენ გაასავსავა და სასოწარკვეთილებით დაიძახა:

— არა, არ მინდა! ნუ მოგდევს! ღმერთო ჩემო, ის...ის არის, იქით... არ მომეკარო... მომშორდი, საშინელო ქმნილებავ!. და საცოდავი დაღმეჭილის სახით ბალიშებზედ დაეცა.— როცა მიუახლოვდი, სარიდანი მკვდარი დამხვდა

ი. ელეფთერიძე

---

## „მათუსალას საუკუნე“.

—

თუ რომ მშრომელნი და მომუშავე მოხუცნი ჰგრძნობენ თავს ისე ცუდად, მოწყენილად, მაშინ რას უნდა ჰგრძნობდნენ ისინი, ვისაც ბედმა ასის წლის იუბილეის გადახდა არგუნა? ამისდა მიუხედავად საზოგადოება დიდის ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს ასის წლის მოხუცებულებს და, როგორც იშვიათს მოვლენას, გაფაციცებით დაეძებს ყველგან; ამ რიგად ეხლა მთელის საფრანგეთის განათლებული ერი ჰლაპარაკობს ასოცის წლის მოხუც ბეითალის შესახებ, რომელიც რუსეთში გამოუძებნიათ. ეს ბეითალი ფრანგია, ნაპოლეონის ყველა ლაშქრობაში მონაწილეობა მიუღია და შემთხვევით დარჩენილა რუსეთში, სადაც გაუტარებია ეს მათუსალას საუკუნე. ამისათვის იმ კაცს რაღაცა ჯილდოც მისცეს,— ისიამოვნე, მოხუცოო! საფრანგეთის პუბლიცისტმა მორის ტალმეიერმა ამ ნანგრევ მოხუცების გამო ყველა ცოტად თუ ბევრად გამოჩენილნი ასის წლის მოხუცნი გაიხსენა. ყველაზედ შესანიშნავი ამ მოხუცთა შორის აღმოჩნდა შევრეილი, „პაპა შევრეილი“, როგორც ეძახდნენ ხოლმე მთელს საფრანგეთში; ეს იყო ფრიად გამოჩენილი სწავლული, რომელმაც 104 წლამდე მიაღწია. ის 104 წელზედ ადრევე მოკვდა მეცნიერებისა და საზოგადო ცხოვრებისათვის, მაგრამ ჟურნალ-გაზეთობა და საზოგადოება მაინც ერთგვარის აღტაცებით ისმენდა ხოლმე ყოველისფერს ამ უბედურის მოხუცის შესახებ. როდესაც ის ასს წელიწადს გადასცდა, და როდესაც ხალხს ვითომდა უნდა მიჰვიწყებოდა, მოხუცი მყუდრო ცხოვრებას უნდა მისცემოდა, მაშინაც-კი არ ასვენებდა მთელი საფრანგეთი. გავიდა კიდევ ორი წელიწადი, ეხლა „შევრეილი“ 102 წ: იყო და საზოგადოების სიხარულს და აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. რომელის გაზეთის №-იც უნდა აგეღოთ ხელში, უთუოდ აღმოიკითხავდით: „ბ-ნი შევრეილი ერთის თვის შემდეგ 103 წლისა იქმნება... ორის კვირის შემდეგ შესრულდება 103 წლისა... ერთის კვირის შემდეგ შევრეილის 103 წლის იუბილეის გადვიხდით“...

შევრეილის დაბადების დღეს ხალხი ისეთისავე მოუთმენლობით ელოდდა, როგორც ბრბო დამნაშავის სასჯელს. იცოცხლებს თუ არა იმ დღემდის? შევრეილის სიკვდილ-სიცოცხლემ ბევრი ახირებული სანაძლეო დაჰბადა,—ერთს კვირას კიდევ იცოცხლებს, თუ არაო? კითხულობდა, თუ არა უკანასკნელს დღეებში გაზეთებს? და თუ კითხულობდა, რასა ჰგრძნობდა კითხვის დროს? ესიამოვნება თუ არა, რომ ყველანი გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს? ოდესმე ნაქები სწავლული, გამოჩენილი მოღვაწე მრავალთათვის საჭირო და თვალ-საჩინო მშრომელი თავისს მეგობრებში, ეხლა ცნობის მოყვარეობის იშვიათ მოვლენად-ღა გარდაიქცა... ეს მოხუცების ნანგრევი აღარავის რად სჭირია, იმისთვის აღარავინ იტირებს. მაგრამ მაინც ყველას ყურადღება იმაზეა მიპყრობილი: როდის-ღა უნდა მოეღოს ბოლო ამ მოხუცებასაო? ნუ თუ კიდევ იცოცხლებს ერთს წელიწადსაო?

ას-სამის წლისა შესრულდა შევრეილი ტაკადემიასაც მიანება თავი, სიცოცხლეს განზედ გაუდგა. ეხლა იმას მცირეოდენი აღელვება, მცირეოდენი ძალ-დატანება სიკვდილს უქადდა. ის იქამდის მოხუცდა, რომ, ქება და პატივის ცემა რა არის, იმასაც-კი ველარ იტანდა. საზოგადოება მაინც მოსვენებას არ აძლევდა. გამოვიდოდა თუ არა ქუჩაში, უთუოდ შეჰნიშნავდა ვინმე და მეორე დღესვე გაზეთებში გამოცხადდებოდა ხოლმე: „ბ-ნი შევრეილი სასეირნოდ დადის... ჯერ კარგადა სდგას ფეხზედ,“ „პაპა შევრეილის“ გარეგნობას მისის იშვიათის მოყვითანო თმებით, გამხმარისა და საზარლად დაჭმუჭნილის პირი-სახით ყველა კარგად იცნობდა პარიზში. ყველა, ვინც კი შევრეილს მოჰკრავდა ქუჩაში თვალს, უთუოდ დიდხანს შესცქეროდა განცვიფრებული და დიდს მანძილზედ გააყოლებდა ხოლმე თვალს, და შევრეილი-კი ამ ცქერაში ერთსა და იმავე სიტყვებს ამოიკითხავდა ხოლმე „როგორ? ჯერ კიდევ ცოცხალი ხართ? საკვირველია!“

მაგრამ სახლშიაც არ ასვენებდნენ მოხუცს შევრეილს გაზეთის თანამშრომლები და სხ. ცნობის მოყვარენი. ერთმა ამ ვაჟბატონთაგანმა, რომელმაც პირველად ჰნახა შევრეილი, სრულიად გულუბრყვილოდ აღიარა, იმისსავე წინაშე, განცვიფრებული ვარ ამ ხანამდე როგორ მოაღწიეთო: „როგორ? თქვენ კიდევ შეგიძლიანთ პასუხის ძლევა როდესაც გეკითხებიანთ რასმე? იმას ეგონა, 103 წლის მოხუცს ლაპარაკიც არ უნდა შეეძლოსო.

და აგერ გარდაიცვალა ბოლოს ეს ღრმა მოხუცი, რომლის საფლავზედაც ცრემლი არავის გადმოუგდია, რასაკვირველია, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ეხლა აღარავის რად უნდოდა, აღარავის ეძვირფასებოდა,—ის დიდი ხანია უკვე მკვდარი იყო მეცნიერებისა და მოღვაწეობისათვის. თუნდ თავისს თავს-კი უჭირდა რამე? ას-ოთხი წელიწადი! წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც ეკატერინე II დროს დაბადებულა, პავლე I დრო ახსოვს, თორმეტ სხ. და სხ. ჯურა ერთა თავ-დასხმას მოზრდილი შეესწრო, ნიკოლოოზ პავლეს ძის მეფობაში მოხუცდა, მოესწრო განთავისუფლების სანაქებო ხანას, ჰნახა მისი საზარელი დასასრული და თავისი სიცოცხლე ჩვენს დროში დაამთავრა! ოჰ, რამდენ შთაბეჭდილებათა და მოგონებათა სიმძიმე უნდა გერძნო? და კიდევ რამდენს შთაბეჭდილებას შეუძლიან მისს დაძაბუნებულს ტვინში ბინის დადება? და სამარისა და მოსვენების მეტი კიდევ რამ უნდა ჰსურდეს?

მაგრამ, ამის მიუხედავად, ხომ იმისთანა ხალხიც არის, რომელსაც ას წლამდე სიცოცხლე ენატრება! მაგ. ვეგეტარიანობის მიმდევარნი მუდამ გვირჩევენ ბოლოკს, ნათესობისა და სხ. მწვანილეულობის ხმარებასა, რომ ასსა და უფრო მეტ ხანამდე შევძლოთ სიცოცხლეო. ზრუნვისათვის მადლობას ვუხდით! ოცდა-ათს წლებშიც, როდესაც კაცის ტვინი არ დახვსებულა, ძნელია, მოსაწყენია სიცოცხლის ზიდვა და ასის წლის შესახებ ხომ აბა რა ითქმის! სწორედ რომ არაფრად სახარბიელოა ასის წლის მოხუცებისაგან დამძიმებულის, ცოცხალ-მკვდარის სხეულის არსებობა, მისი ღედამიწაზედ მოძრაობა!

---

## თეატრი და მუსიკა

—

კარმენი ოპ. ბიზესი

გუშინ-წინ 16 დეკემბერს, სახელმწიფო თეატრში წელს პირველად წარმოადგინეს ტფილისის საზოგადოების დიდად საყვარელი ოპერა „კარმენი“. ყოველმა არტისტმა თავისი როლი ღირსეულად შეასრულა, განსაკუთრებით-კი მოსაწონი იყო დონ-ხოზეს როლში იტალიელი მომღერალი ტენორი სალტო, რომლის დახელოვნებულმა და სრულის დრამატიზმით სავსე სიმღერათამაშობამ დამსწრე საზოგადოება მთლად მოაჯადოვა. ის ადგილი-კი, როდესაც დონ-ხოზე თავისს საყვარელს და მოღალატე კარმენს ჰკლავს, სალტომ იმ გვარის გრძნობით დაასურათა, რომ აღფრთოვანებული საზოგადოება სულგანაბული ადევნებდა თვალ-ყურს არტისტის ყოველ მოძრაობას.

სალტოს ძალიან დიდი ხმა არა აქვს, შექს-ქუხილივით მგრგვინავი, მაგრამ სამაგიეროდ მეტად ტკბილი და სასიამოვნო. ძლიერად შეუძლიან ხვეწნა-ვედრების და ალერსის გამოთქმა და ამ დროს იმისი ხმა მეტის სიტკბოებით ჩაესმის მსმენელის ყურს.

ძალიან კარგი იყო აგრეთვე ბარიტონი მაქსაკოვი ტორეადორის როლში. ამ მომღერალს მშვენიერი ხმა აქვს. ძლიერი და მაღალი ადგილების გაღობა უფრო ეხერხება, ამის გამო საზოგადოებაზე დიდად მოქმედობს და ყოველთვის ტაშის კვრით და ვაშას ძახილით აჯილდოვებენ. მხოლოდ თამაშობის მხრივ-კი, ცოტა არ იყოს, თავისს იტალიელ მოძმეს ჩამორჩება.

კარმენის როლი ქ-ნ კარრიმ შეასრულა. თამაშობდა იგი კარგად, მხოლოდ რაც შეეხება ვოკალურს მხარეს, ჩვენა გვგონია, რომ ქ-ნ კარრის ხმა არ შეესაბამება კარმენის ცოცხალს და ვნებათაღელვით სავსე ბუნებას, რომელიც ზღვასავით ცვალებადია, ხან საშინლად ფრთოსნავს, დრტვინავს და ცეცხლს უკიდებს, რაც-კი ახლოს მიეკარება, ხან-კი პატარა მდინარესავით მიწუნარდება ხოლმე. სწორედ ეს ფრთოსნა და გრძნობების ერთმანეთში სრბოლა ჩვენის აზრით, სუსტად გამოჰხატა არტისტმა ქალმა.

ი. ე.

---

## დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 დეკემბერი

**ვენა.** გამოცხადდა, რომ იმპერატორმა ვაკერლეს კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომა შეიწყნარაო.

დეპუტატთა პარლამენტში ვაკერლემ გამოაცხადა, მთავრობა დარწმუნდა, რომ იმპერატორი საკმარისად არ ენდობა სამინისტროს, რის გამოც მან სამსახურიდგან გადადგომა ითხოვა და იმპერატორმაც შეიწყნარა ეს თხოვნა. ეს სიტყვები კმასაყოფილად არ მიიჩნიეს. ალბად იყო სხვა რამ მიზეზები, რომ სამინისტრომ სამსახურიდგან გადადგომა მოინდომა. დეპუტატი უაგრონი უსაყვედურებდა ლიბერალთა დასს, თქვენ თქვენს დედა-აზრებს თქვენდა გამდიდრებისთვისა ჰხმარობთო. დასასრულ ვაკერლემ სთქვა, რომ იმპერატორი მოვალე არ არის თავისს უნდობლობა თითოეულის მინისტრის მიმართ დაასაბუთოსო.

გუშინდელ სხდომის დროს, ლიბერალთა დასმა სამსახურიდგან გადამდგარი კაბინეტი დიდის ამბით გააცილა.

---

პეტერბურგის ბირჟა, 16 დეკემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,39 | 7,42 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 147½ | 148¼ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 242½ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 222¾ |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | 194½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% . . . . . | — „ | 99 | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 101 | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | 99½ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 97¾ | — „ | — „ |


## განცხადებანი

მიიღება ხელის მოწერა

1895 წლისათვის

ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

**მოამბეზე**

(II წ.)

| | 1 წ. | 6 თვ. | 3 თვ. |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში . . . | 10 მ. | 6 მ. | 4 მ. |
| საზღვარ-გარედ . . | 13 მ. | 7 მ. | 5 მ. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ექნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მ., 1 აპრილამდე—3 მ. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Моамбе“.

რედაქტორი ალექსანდრე წუწუნავა. გამომცემელი ალექსან. ჯაბადარი

(5—უ.—5)

---

წერა-კითხვის გამავრცელებელის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

**ჩართული ანბანი**

შედგენილი

გრ. ტატიშვილის მიერ

ამ ანბანში მოქცეულია წყვილწყვილად ერთმანეთში ხელოვნურად და შნოიანად ჩართული ასოები, რომლებიც სახელისა და გვარის აღსანიშნავად შეიძლება ამოიჭრას ყოველნაირს ლითონის ნივთზედ (ოქროსა, ვერცხლსა, თითბერზედ და სხვ.) და ამოიკეროს.


Дозволено цензурою, Тифлисъ 17-го Декабря 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.